დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, სანდრო ეულის №5-ში (ს/კ 01.14.05.007.157) აშენებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის გავლენაზე მომიჯნავე ნაკვეთებზე და ნაგებობებზე

შენობის ქვაბული დამუშავებული იყო პროექტირების ნორმების მოთხოვნების სრული დაცვით, შესაბამისად ქვაბულის დამუშავებას (მიწის სამუშაოების წარმოება) და ნულოვანი ციკლის სამუშაოებს (ბურღვით-ნატენი საყრდენი ხიმინჯების მოწყობა, მონოლითური როსტვერკისა და ცოკოლის მოწყობა) მომიჯნავე ნაკვეთებზე და ნაგებობებზე არანაირი გავლენა არ მოუხდენია.

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის მიხედვით, რომელიც შესრულებულია შპს "ახალი საქქალაქმშენპროექტის" საინჟინრო კვლევების განყოფილების მიერ, საძირკვლის ფუძედ მიღებულია IV სბე – ნაკლებად გამოფიტული ძირითადი ქანები, წარმოდგენილი თიხოვანი ქვიშაქვების და არგილითების მორიგეობით.

კომპიუტერული ანგარიშის და პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მიხედვით, შენობა დაფუძნებულია ძირითად ქანებზე (IV სბე) - 2.0 მ დიამეტრის და 8.0 მ სიგრძის ბურღვით-ნატენი საყრდენი ხიმინჯებით, ძირითად ქანში შესვლით არანაკლებ 0.5 მ-ისა, რაც თავისთავად ნიშნავს იმას, რომ შენობიდან მოსული ყველა საანგარიშო დატვირთვა (სტატიკური და არასტატიკური) საყრდენი ხიმინჯების საშუალებით გადაეცემა ძირითად ქანებს, შესაბამისად შენობიდან მოსული დატვირთვები ვერანაირად ვერ იმოქმედებს მომიჯნავედ არსებულ შენობებზე, მიუხედავად მათი დაფუძნების პირობებისა და საძირკვლების ჩაღრმავებისა.

კონსტრუქტორი ბიძინა ჯუგაშვილი